



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებები

ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებები XVI-XVIII სს.

1555 ხელშეკრულება (ამასია, 29 მაისი), იხ. *ამასიის ბავი* 1555.

1590 ხელშეკრულებით (სტამბოლი, 21 მარტი) ირანმა ცნო ოსმალეთის გაბატონება აღმ. სომხეთში, აღმ. საქართველოში, აზერბაიჯანსა (არდებილისა და თალიშის გარდა) და დას. ირანში. 1612 ხელშეკრულება (სტამბოლი, 20 ნოემბ.). ირანი ცნობდა სულთნის უზენაეს ხელისუფლებას დაღესტანზე, მხარს უჭერდა ოსმ. მოთხოვნას თერგის ციხის დანგრევისა და ჩრდ. კავკასიიდან რუსეთის განდევნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად აღდგა 1555-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრები, ტერიტ. გამიჯვნა ამ პრინციპის საფუძველზე ვერ მოხერხდა, რადგან ოსმალეთმა ჯარი არ გაიყვანა სამცხე-ჯავახეთიდან და მთელი მესხეთი შეინარჩუნა.

1619 ხელშეკრულებამ (სტამბოლი, 29 სექტ.) აღადგინა 1555 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრები სათანადო შესწორებებით, კერძოდ, ოსმალეთის სამფლობელოდ გამოცხადდა ახალციხის საბეგლარბეგო (სამცხე-ჯავახეთი) ყველა ციხით, აგრეთვე ყარსი. ახალციხის ნაცვლად ოსმალეთმა ირანს დაუთმო დერნისა და დერთენგის სანჯაყები ბაღდადის მხარეში.

1639 ხელშეკრულებამ (სოფ. ზოჭაბი, 18 მაისი), იხ. *ზოჭაბის ბავი* 1639. ხელშეკრულება ძალაში დარჩა 1723-მდე. ამ პერიოდში ირანი აგრძელებდა აგრესიას ქართლისა და კახეთის, ხოლო ოსმალეთი - დას. საქართველოს წინააღმდეგ. 1727 ხელშეკრულებით (ჰამადანი, 4 ოქტ.) ავღ. მბრძანებელმა ცნო ოსმ. გაბატონება დას.

და ჩრდ.-დას. ირანში, აგრეთვე სამხრ. კავკასიაში. 1736 ხელშეკრულების (სტამბოლი, 17 ოქტ.) თანახმად ირანი და ოსმალეთი უნდა გამიჯნულიყო 1639 ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრის შესაბამისად. მხარეები თავს იკავებდნენ მაღალი ბაჟის დანესებისაგან, ოსმ. ხელისუფლებას უნდა გაეთავისუფლებინა ტყვეები და ა. შ. 1736 ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. 1746 ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა მ (ქერდანი, 4 სექტ.) აღადგინა 1639 საზღვარი. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, თავი შეეკავებინათ მტრული მოქმედებისგან. 3 წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა ორ სახელმწ. წარმომადგენელთა შეხვედრა „მეგობრობისა და კავშირის დასადასტურებლად“, სავაჭრო საქონელზე ბაჟი უნდა დაენესებინათ ძვ. ჩვეულებების შესაბამისად და სხვ.

ლიტ. იხ. სტ-თან ირან-ოსმალეთის ომები XVI–XVIII სს.

3. ჩოჩიევი
